

ბალნისთვის საკითხავი წიგნი



ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო ს

ძველი დროის მეფეებსედ.

შედგენილი

სახალხო მასწავლებლის

შაქტო გულისაშვიდისაგან.

თბილისი

გრ. ჩარევიანის ქ. სტამბა.



საღვთისმეტყველების საკითხავი წიგნი.



ს ა ქ ა რ ი ვ ე ლ ო ს

ძველი დროის ძეგლებზე.

2994

შედგენილი

სახალხო მასშავლების

შაქრო გულისაშვილისაგან.

თბილისი.

გრ. ჩარკვიანის სტამბა





Дозв. Ценз. Тифл. 10 Сентяб. 1886 г.

მკითხველებს.

დღითი-დღე მატულობენ ჩვენში სასოფლო, საქალაქო და სხვა სახალხო სასწავლებლები. დღეს ხალხში ათასობით მკითხველი მოგვეპოება და ყველა ესენი თითქმის ივედრებიან შიგცეთ ღირსეული გონებითი საზღო და დავიხსნათ უგზო-უკლოობისაგან.

თუმცა ჩვენი პატიოსანი ხალხი დიდათ ღირსია ამ პატიოსანი სურვილის შესრულებისა, მაგრამ ათი წლის სახალხო მასწავლებლობამ სხვა და სხვა ჩვენი ქვეყნის კუნჭულებში და ხალხთან ახლო დგომამ ცხადათ დამანახვა, რომ ამაზედ არაფერს ზრუნავს.

თქვენ მოგმართამთ, ბ. სახალხო მასწავლებელნო! რომელს არ გინახამთ შრომის შემდეგ კერას შემომწკრიებული ოჯახობა, რომელიც სულ გაკმენდილი ყურს უგდებს უკოლაში მავალ მოზარ-

დის მიერ ეს მეათედ წაკითხულ „დედა
ენის“ სტატიას? ვის არ გინახამთ ისიც,
თუ სადამდის აღწევს ეს სულ გაკმენდა,
როცა მოზარდი კითხულობს მასწავლებ-
ლის მიერ ჩვენ ლიტერატურაში გამო-
ძებნილ რაიმე ხალხისთვის ღირსეულს?
რამდენი მოიბრუნს ხალხმე მეორე დღეს
შრომით ნაშრომს რავედენიმე შაურს და
ივედრება, წიგნი მას დაუთმო!

— მაგრამ იცით, ისიც თუ რავედენ
შრომას ითხოვს ეს გამოძებნა სოფელში
და რა ბეჯით ახსნას შკოლაშივე, რად-
გან ხალხისთვის არ არის დაწერილი და
ფასიც სრულიად არ ეთანხმება ხალხის
ჯიბეს.

შხალხურ საკითხავო წიგნებოთ, რომ
არც ხალხურ შევლებას და არც იქიდან
გამოსულს მადლი არ ააქვს, ამაზედ ლა-
პარაკიც-კი სირცხვილია.

ამ დიდი ნაკლის შესამსებლად იბე-
ჭდება ეს შრომა, რომელსაც ბედმან იქ-
მნება ისეთ ფეხზე აღირსოს დაბადება,
რომ სხვები და უკეთესნი მოჰყენენ.

ქართველებზედ საერთოდ.

ქართველებს თავდა-პირველად მეფე არა ჰყოლიათ. მცხეთაში მამასახლისი მჯდარა და იმის მეთაურობით მტრებიც უგერებიათ, სამართალიც ჰქონიათ და თადარიგიც. რადგან ერთი კაცი ყველგან ვერ გასწვდებოდა, იმიტომ მცხეთის მამასახლისსაც საკუთრივ თავის გამგეობის ქვეშ ქართლი აუღია და სხვა მხარეებში უმცროსი მამასახლისები უმწესებია.

ამბობენ, ასეთი საქმე პირველში მცხეთოსმა დაიწყო. ეს მცხეთოსი ყოფილა შვილი ქართლოსისა, ქართველების საერთო მამისა; ესე იგი, იმ ქართლოსისა, რომლისაგანაც მთლად ქართვე-

ლობა მომრავლებულან და რომლისაგანაც სახელი—ქართველები მიუღიათ.

როცა ქართლოსი მომკვდარა, იმის უფროს შვილს მცხეთოს, აუშენებია მცხეთა, იქ მამასახლისად დამდგარა, ქართლი საკუთრივ თავისი კითხული გაუხდია და თავისი უმცროსი ძმები სხვადასხვა მხარეებში გაუგზავნია უმცროს მამასახლისებად. ქახეთში ქახოსი გაუგზავნია, კუხოსი—გარე—ქახეთში, ზარდამოსი—ახალციხე-ჯავახეთში, ზაჩიოს—ბორჩალოში და სხვ. სულ საქართველო შვიდ სამამასახლისოდ გაუყვია. საერთო საქმეში, მტრის მოგერებაში და მტერზე საონრად წასვლაში ყველა მამასახლისები მცხეთის მამასახლისის მორჩილნი ყოფილან, თუ მცხეთის მამასახლისი მოკვდებოდა, მთლად საქართველო მამასახლისად იმის უფროს შვილს ირჩევდა, — უშვილობის დროს კიდევ იმის უფროსს ნათესავს.

რჯულიც ქართველებს ერთი ჰქონიათ. თაყვანი უციათ მზისთვის, მთვარისთვის და ხუთ ვარსკვლავისთვის. ამასთან ყველა ქართველის საფიცი ყოფილა ქართლოსის საფლავი. თუმცა ყველა ხეობას, ყოველ კუთხეს თავთავიანთ სალოცავები ჰქონიათ მზისა და მთვარის სახელობაზედ, შესაწირავიც აქ მიჰქონებიათ, მაგრამ საერთო სალოცავები და ქართლოსის საფლავიც მცხეთაში ყოფილან. წელიწადში რამდენჯერმე მთელი საქართველო მცხეთაში მოიყრიდა ხოლმე თავს ამ სალოცავებისათვის. აქ მზის სახელობაზედ იდგა რკინის კაცი ფირუზის თვალებით, რომელსაც ეძახდნენ არმაზს. მთვარის სახელობაზედ მდკარ კერპს ეძახდნენ ზადენს. იყო კიდევ ერთი კერპი — სახელად ბოჩა, რომელსაც შვიდი ხელი ჰქონია გაშვერილი საქართველოს სხვა და სხვა მხარეებისკენ.

ამ ღმერთებს ხალხი უკლავდა მრავალ

საქონელს დღეობებში და სწირავდნენ
 პურს, ღვინოს, ერბოს... შენაწირავიდან
 წილი ეძლეოდა ხალხსვე და პატრონს,
 მაგრამ ნამეტანს კი იღებდნენ დეკანო-
 ზები დი ხევის-ბერები.

ხევის-ბერები და დეკანოზები მაშინ-
 დღელ კერპების მოსამსახურენი-ანუ მღვდ-
 ლები იყვნენ. ესენი ხალხს ფხლაცა სწამთ
 მთაში.

აგრეთვე ქართველობა თაყვანსა სცემ-
 და და ლოცულობდა დიდ ხეებსა კლდეებს
 და დიდს ქვებს.



ჯარნავაზ,

პირველი მუხე ქართველებისა.

მცხეთაში მამასხლისად ყოფილა პატროსანი კაცი ვინმე სახელად სამარა. თითონ უშვილო იყო; იმის ძმას კი ჰყვანდა ცოლათ სპარსეთის მეფის ღარიოზის ქალი და ერთი ვაჟი შვილი ჯარნავაზი.

სპარსეთის მეფე ღარიოზის სიძლიერე მთელ ხმელეთზედ იყო მოდებული, მაგრამ ამ დროსვე გაძლიერდა მაკედონელთა ბერძენთა მეფე ალექსანდრე. სოტახანში ამას დაუმარცხებელი აღარავინ მოუჩინა და ბოლოს დიდი ჯარით ღარიოზისაკენ გასწია. ღარიოზმაც, როგორც მოყვარეს—სამარასა სთხოვა ქართველი ჯარის მიშველება. სამარამაც ხელქვევითი

მამასახლისების შემწეობით ყველა კუთხიდან მოკრიბა ქართველები და გაგზავნა სპარსეთში. მაინც ალექსანდრემ დაამარცხა სპარსელები და მოკლა დარიოზი. გაბრაზებული ქართველთ მიშველებაზედ, ახლა საქართველოზედ აპირებდა ხლმის ბრუნებას, მაგრამ მდიდარმა დავლამ იწდოეთისკენ გაიტყუა. საქართველოზე მაინც თავისი სარდალი აზონი გამოგზავნა.

დიდი ჯარით შამოესია აზონი საქართველოს, თანაც ფახისტვის თავი ალექსანდრეთ მოჰქონდა. მალეც დაამარცხა ქართველები, დაადო დიდი ხარჯი, მერე მხცეთა აიღო, სამარას მონათესავენი სულ მომუსრა და თითონ გაბატონდა.

ამ მომუსვრას გადურჩა სამი წლის შარნავაზი, რომელიც დედამ მთიულეთში გააპარა.

მთებში შარნავაზი ყოჩალი ვაჟკაცი შეიქმნა: იცოდა მარჯვე ჯირითი, ისრის

სროლა და მშვენიერი ნადირობა; მაგრამ დედას გული ეთუთქებოდა, რომ იმის ყოჩაღ შვილს სხვა ცოდნა არა ჰქონდა რა და არც ხალხი ენახა. რომ სამუდამოთ შვილი უმეცარი არ დაჰრჩენოდა, იმან გაბედა მალვით და გვარის გამოცვლით მცხეთაში ჩამოსვლა. აქ ფარნავაზი მალე შეიქმნა მცოდნე და ზდილიასე რომ აზონმაც კი შეიყვარა და ერთად ხშირად ნადირობდნენ. აზონი ბოროტი ბატონი იყო: არამც თუ ქართველებს, თითონ ჯარის კაცებსაც კი სძულდათ ის და განთავისუფლება ჰსურდათ. ფარნავაზი კარგა ჰხედავდა რომ, თუ თავის ვინაობას გააგებინებდა ხალხს, აზონს ადვილად გააძევებდა საქართველოდან. მაგრამ უფულობა ხელს უშლიდა. ამაში ბედი დევნებოდა.

ერთს დღეს ფარნავაზმა ღიღმის მინდორზე ირემს ისარი ესროლა და დასჭრა. დაჭრილს კვალზე გამოუდგა. ირემა მცხე-

თის მახლობლად მთებში შევიდა და ერთ კლდის-ძირში დაეცა. შარნავაზი გადმოხტა და ტყავება იწყო. ამ დროს დაუშვა შხაპუნა წვიმამ; მიიხედ — მოიხედა და იქვე ერთი გამოქვაბული დაინახა-ირემიც შიგ შათრივა და ცხენიც შიგ შაიყვანა. რადგან შიგ ბნელოდა, შარნავაზმა ტალკვესს გაიკრა ხელი და მალე ცეცხლი დაანთო. სინათლეზე გაარჩია გამოქვაბულს უკან ამოშენებული კედელი. ეს კედელი გამოანგრია და მიაგნო მეორე გამოქვაბულს, რომელიც სამსე იყო ოქრო-ვერცხლით. მახარებული შარნავაზ შინ მოვარდა და მალვით თითონ იმისმა დედამ და ორმა დამ სამ ღამეს ზურგით შინ გადმოზიდეს ეს სიმდიდრე.

საქართველო მთლათ აზონის ხელში არ იყო. იმის ბატონობას გადარჩენოდა იმ დროს სამეგრელოც, სადაც მამასახლისად იყო ყველასგან პატივცემული კაცი ქუჯი.

შარნავაზმა მალე ამ ჭუჯთან გამართა მოლაპარაკება თავის ვინაობაზედაც და სიმდიდრეზედაც. ჭუჯს შარნავაზის გადარჩენა მეტად გაუხარდა და სიამოვნებით გული აემსო. მალე შარნავაზი თავის სიმდიდრით ჭუჯთან გადასახლდა. აქ მეგრელები შეიარაღეს, ფულით სხვათა ქვეყნებიდანაც დაიჭირავეს ჯარი და საქართველოშიაც ყველას შეატყობინეს, რომ მზათა ყოფილიყვნენ და ომის დროს შარნავაზისკენ გადასულიყვნენ.

შარნავაზი შემოვიდა დიდი ჯარით ქართლში და მართალია აზონიც დიდი ჯარით დაუხვდა იმას, მაგრამ მალე აზონის მეომარნი სულ შარნავაზისკენ გადავიდნენ და დამარცხებული აზონი საბერძნეთში გაიქცა.

შარნავაზი მცხეთაში შემოვიდა დიდის დიდებით. ქართველობას უხაროდა. აზონის მეომართ შარნავაზმა მამულები აჩუქა და აზნაურობა მიანიჭა.

რადგან აზონის მეორეთ მოსვლაზე მაინც შიშობდნენ, ამიტომ უარნავაზმა შეხწეობა ანტიოქიის მეფეს სთხოვა. ამან არამცთუ ჯარი გამოუგზავნა, თან მშვენიერი სამეფო გვირგვინიც უძღვნა და უარნავაზი დიდის ამბით მეფეთ ეკურთხა მცხეთაში. ბარშამო მძლავრი მეზობლები დაიმოყვრა. მამასახლისების მაგიერ ყველა მხარეში ერისთავები დააყენა და ამ ერისთავების შემწეობით საქართველო მთლათ დააშოშმანა, რიგიანი სამართალი გააჩინა და ხალხს ხარჯი შეუცოტავა. თაყვანის ცემა არმაზისა და ზადენისა რიგიანათ მოაწყო და მამაპაპეული რჯული განამტკიცა—ასე რომ ქართველებს თავი შეაყვარა, როგორც ჭკვიანმა და ბრძენმა მეფემ. მართალია აზონი კიდევ დაბრუნდა თავის ქვეყნიდან დიდის ჯარით და უნდოდა ქართველების ხელ-მეორეთ დამორჩილება, მაგრამ უარნავაზმა დამარცხა ის და არამ თუ გააძევა საქართვე-

ლოდან, იმათ ქვეყანაშიაც შავიდა — ბევრი ქალაქები დაარბია და ხარჯი დაადვა.

მრთი დაუვიწყარი სიკეთე კიდენ უყო
შარნავაზმა საქართველოს: იმან მოიგონა
ქართული ანბანი და წერა კითხვა. ბარ-
დაიცვალა მოხუცებაში — დიდათ იგლო-
ვის ქართველებმა და გულ დაწყვეტილებ-
მა დაასაფლავეს ქართლოსის საფლავის
ახლო არმაზის კერპთან მცხეთაში.



ქართველთ მოქრისტიანება.

შარნავაზის შემდეგ კიდენ ბევრი მეფენი ჰყვანდათ ქართველებს და ბევრმა დრომაც გაიარა, რომ საქართველოში კერპების თაყვანის-ცემა თავის რიგზე მიდიოდა. ქართველობა დიდის ამბით შეიკრიბებოდა ხოლმე მცხეთაში არმაზ და ზადენის სათაყვანებლად და ისე მტკიცეთაც ეჭირათ ეს სარწმუნოება, რომ გაააძევეს ერთი თავიანთი მეფე შარნაჯი, რომელმაც ცოტათი შეცვლა მოინდომა ამ რჯულისა.

—მაგრამ აი ქვეყანაზედ მოვიდა იესო ქრისტე. იმისი წყნარი და ღვთაებრივი ქადაგება გაისმა ურიების ქვეყანაში. ეს ქვეყანა საქართველოდან სამხრეთისკენ იდვა და იქიდან ბევრი ურია

იყო აქ გადმოსახლებული. ეს გადმოსახლებულნი არ ივიწყებდნენ თავიანთ ქვეყანას და უქმეებში ხშირად ჩადიოდნენ სალოცავად იერუსალიმში. იქიდან დაბრუნებული ურიები ქართველებშიაც ბევრს საკვირველს რასმეს ლაპარაკობდნენ ძრისტეზედ და მის ქადაგებაზედ.

მრთხელ, როცა საქართველოში შარსმანი იყო მეფეთ, იერუსალიმში სალოცავად ჩავიდა მცხეთელი ურია მლიოზი. მლიოზმა თავის თვალით ნახა ძრისტეს ჯვარზე გაკვრა და მცხეთაში დაბრუნების დროს, როგორც ეს ამბავი მოიტანა, ისე თან წამოიღო ძრისტეს ზემოდან წამოსასხამი—კვართი.

მუ როგორი ცოცხლად ლაპარაკობდა მლიოზი მცხეთაში ძრისტეს ტანჯვაზე, სჩანს იქიდანაც, რომ იმისმა და სიღონიამ, რამწამს მოისმინა ძმის ნაამბობი, მაგრა ჩაიკრა მკერდში ძრისტეს კვართი და იქვე მოკვდა. ხალხმა ველარ აჰგლიჯეს ეს კვართი და თან ჩაატანეს საფლავში.

ჯვარცმული იესო ქრისტეს შემდეგ მისმა მოციქულებმა მოილაპარაკეს იმაზე, თუ რომელს რომელი ქვეყანა უაჭვდებოდა ქრისტეს რჯულის გასაფრცვლებლად. წილში ლეთის-მშობელს მარიამსა როგორც ამბობენ გარდმოცემანო საქართველო ერგო, და თავის საბადლოთ მის წილხვედრილ საქართველოში გამოგზავნა მოციქულები ანდრია და სვიმონი.

ანდრია მოციქული და სვიმონ კანანელი ძალე მოვიდენ საქართველოში, უქადაგეს ქართველებს, მეგრელებს და აფხაზებს და მალეც მოაქრისტიანეს ისენი. სვიმონმაც ბევრგან იქადაგა საქართველოში და ამ რიგათ ქრისტეს სარწმუნოება უქადაგესა მაგრამ სამასი წელიწადი კიდენ დარჩნენ ამის შემდეგ კერპთთაყვანის მცემლად—სინამ არ მოვიდა აქ ქალწული წმინდა-ნინო.

წმინდა ნინო და მირიან გიჟე.

უთავი ზღვის ნაპირზედ მდებარეობდა ქალაქი კაპადოკია. *) წმინდა-ნინო იქ დაიბადა. მამა იმისი იყო. ზაბულონი—გათქმული ჯარის კაცი და მორწმუნე ქრისტიანი. სოლათა ჰყვანდა ზაბულონს იერუსალიმის პატრიარქის ქალი.

ნინო პატარაობითვე დარჩა ობლათ და იზრდებოდა იერუსალიმში თავის პაპა პატრიარქთან. ქრისტეს სარწმუნოებას ღრმათ უნერგამდა პატრიარქი თავის ქალიშვილს ნინოსა. იმიტომ, როცა მოიზარდა, ქრისტეს რჯულის გასაფრცვლებლად მოინდომა წასვლა სხვა ქვეყნებში. პაპამ

*) კაპადოკია იყო ქალაქი ქანეთში—ანუ ბათუმის მაზრაში, სადაც ქართველთ მონათესავენი ცხოვრობდნ.

არამთუ დაუშალა ეს, არამედ აკურთხა და გაისტუმრა ქალაქ რომში, სადაც, ამბობდნენ, დედოფალს მლენეს მონათვლა უნდა და მქადაგებელი არვინა ჰყავსო.

მართალია წმინდა-ნინოს არ ელირსა მლენე დედოფლის მოქრისტიანება, მაგრამ ლმერთმა იმას უფრო დიდი საქმე განუწყესა. რომში ნინო მონასტერში შევიდა—აქ სხვა მოლოზნებიც ბევრი იყვნენ და იმათშივე იყო სილამაზით ნაქები ქალწული რიფსიმე. იმდროს ურწმუნო რომის მეფე ღიოკლიტიანემ მოინდომა რიფსიმეს შერთვა, მაგრამ რიფსიმემ არამდუ არ შეირთო, სხვა მოლოზნებთან ერთად სომხეთში გამოიქცა. ღიოკლიტიანეს ბრძანებით სომხეთის მეფემ ესენი დაიჭირა და, როცა რიფსიმემ გათხოვებაზედ კიდენ უარი გამოაცხადა, დატანჯა ისიც და სხვა მოლოზნებიც. ბადარჩა წმინდა-ნინო, რომელიც დაიშალა სომხეთის ჩრდილოეთ ნაწილში. აქ ძილში მას

ღვთის - მშობელი გამოეცხადა, ხელში მისცა ვაზის ჯვარი და უბძანა, მის წილხვედრ საქართველოში წამოსულიყო საქადაგებლად. რო გამოედვიდა ნინოს ხელში მართლა ვაზის ჯვარი ეჭირა. *) ამით გამხნეებული ის პირდაპირ საქართველოსკენ წამოვიდა.

ჯავახეთში, თათარავანის ტბის პირას, ნინომ ნახა მეცხვარეება და მეთევზენი. ამათ პური აჭამეს და ყველაფერი უამბეს თავიანთ ქვეყანაზედ და მცხეთის ქალაქზედაც. ნინო აქედან ქართლზე წამოვიდა და ქალაქ შკზნისში მოვიდა.

რამდენიმე კვირის შემდეგ მთელი შკზნისი გარდაჩარდახული ურმებით მცხეთისკენ გაემგზავრა. აქ არმაზის დღეობა მოდიოდა და ყოველ კუთხიდან ქარ-

*) ეს ვაზის ჯვარი წმინდა ნინოს თმებით შემოხვეული დღესაც თბილისში სიონის სობოროშია, და წმინდა ნინობას 14 იანვარს გამაასვენებენ ხოლმე.

თველობა თავს იყრიდა. ურბნელმა დედა-
 კაცებმა ნინოც მცხეთას მოიყვანეს. აქ
 ნახა რა ქართველების კერპთთაყვანის-
 ცემა, შესწუხდა ნინო და შეახვეწა ლმერთს
 კერპების დამსხვრევას. მართლა უცებ ას-
 დგა საშინელი ქარიშხალი, რომელმაც
 მილეწ-მოლეწა არმაზიც და ზადენიც. შე-
 შინებული ხალხი ალიაქოთით გარბოდა
 მცხეთისკენ. ნინო ამაჲ უფრო განამხნევა
 და მეორე დღეს მცხეთაში იწყო ძრის-
 ტეს რჯულის ქადაგება.

ნინომ მცხეთაში ავადმყოფების მორ-
 ჩენასაც მიჰყო ხელი და წამლების გარდა
 ავადმყოფს ლოცვებს უკითხავდა ხოლმე
 და ჯვარზე ამთხვევდა. ამითი და უმან-
 კო ცხოვრებით სახელი შორს გაითქვა
 და ქადაგებით კიდენ ბევრი მორწმუნენი
 იშოვა.

მრთხელ მძიმე ავადმყოფობიდან მირი-
 ან მეფის ცოლიც კი მოარჩინა და აქედან
 მეფის სასახლეშიაც იწყო სიარული და

ქადაგება. როგორც მირიანს ისე დედოფალს მოსწონდათ ქრისტეს რჯული, მაგრამ მონათვლაზე ყოყმანობდნენ.

მრთხელ მირიანი მხლებლებით მუხრანის მინდორზე სანადიროთ გავიდა. მზაზე ქრისტეს რჯულზედ ფიქრობდა. იმ დროს უცბად დაბნელდა და დღე უკუმ ბნელად გადაიქცა; მხლებელნი აქეთ-იქით გაიფანტნენ და ზარდაცემულმა მირიანმა კი იწყო ქრისტეს ვედრება თანაც აღთქმა დადო მონათვლის, თუ განსაცდელს გადურჩებოდა. აღთქმის დადება და მზის გამოშუქება ერთი იყო. მირიანმა უამბო ყოველივე მხლებლებს და იმათთან ერთად მცხეთისკენ გაეშურა.

შავიდა თუ არა ქლაქში, მაშინვე ნინოსთან მივიდა, გადმოხტა ცხენიდან და კურთხევა აიღო; მერე როგორც ნინოს ისე შეკრებილ-ხალხს გამოუტახა, რომ მთელი ჩემი სამეფო მინდა მოვნათლოვო. მალე შაიყარა სამეფო რჩევა. ერის-

თავებისაგან და დიდკაცებისაგან; ამათ მეფეს მხარი დაუჭირეს და მაშინათვე მისწერეს საბერძნეთის მეფე კონსტანტინეს ეპისკოპოზების და მქადაგებლების გამოგზავნაზედ. თითონ კი იწყეს მზადება; ხალხი ისმენდა ნინოს ქადაგებას და სწავლობდა ქრისტეს სწავლას. აგრეთვე ნინოს თაოსნობით ააშენეს საყდარიც მცხეთაში. *.) ბერძნების მეფეს დიდად გაუხარდა ქართველთ გაქრისტიანება და არამთუ მღვდლები და ეფისკოპოზები გამოუგზავნათ, მირიანსაც ძმური წერილი მოსწერა და საჩუქრები უძღვნა.

ქრისთავებმა მთელი საქართველო შეკრიბეს მცხეთას და აქ საბერძნეთიდან

*) საყდარი აშენდა ზედ იმ ალაგას, სადაც კვართთან ჩაკონილი სიდონია ემარხა. შაიტყეს ეს იმით, რომ იმ ალაგიდან მირონმა იწყო დენა და ვინც ავად-მყოფი მოვიდოდა, მაშინვე რჩებოდა. ბოლოს კვართი ამოიღეს კიდევ და მცხეთაში ინახებოდა, იქიდან მოსკოვში წაიღეს და ეხლაც იქ არის.

მოსული მამები ჰნათლამდნენ ხალხს მტკვარში.

ნეტარი წმინდა ნინო კი ფრთებ შესხმული ამ დიდის ამბით უბრალო ტანისამოსით და ფეხშიშველა დამგზავრობდა მთელ საქართველოში და ჰქადაგებდა ქრისტიანობას.

ბოლოს ჯაფისგან მოქანცული წმინდა ნინო ქიზიყში სოფელ ბოდბეში ქადაგებდა და აქვე გარდაიცვალა. ბლოვის ზარმა გაუარა ამ ამბის გაგონებაზედ ყოველ ქართველს. მეფე მირიანი და მრავალი ქართველობა მოგროვდა ბოდბეში ნინოს სიკვდილზე-იქვე დაასაფლავეს და მირიანმა ზედ საფლავზე ააშენა მშვენიერი ეკლესია. ბოდბის წმინდა ნინოს ეკლესია დღესაც არის და სალოცავია მთელი ქახეთისა.

ასე გახდა საქართველო ქრისტეს მოწამუნეთ. მეფე მირიანმა სიბერემდის არ მოშალა მეცადინეობა იმაზედ, რომ

ქრისტიანობა მკვიდრად დეეყენებინა საქართველოში. იმიტომ ბევრი ეკლესიები ააშენა და მტკიცეთ დაჰმეგობრდა ზერძნებს. ქართველებს დიდი სიკეთე უყო და მისმა სიკვდილმაც დიდათ დააღონა ყველანი. დამარხეს მცხეთაში.

მეფე ვახტანგ გორგ-ასლანი *.)

ვახტანგი ხუთი წლისა იყო, როცა მოკვდა იმისი მამა, საქართველოს მეფე მირდატი. მცირე წლოვანობის გამო სამეფო ჩაჰბარდა ვახტანგის დედა სანდუხტას. ეს მოჰხდა ორასი წლის შემდეგ მირიან მეფისა.

სანდუხტასი, როგორც სუსტი დედაკაცისა, რიდი არვისა ჰქონდა და საქართველოს ყოველ-მხრიდან დაუწყეს წეწვა მეზობლად მყოფმა სახელმწიფოებმა. ჯერ სპარსეთის მეფემ შამოუთვალა: ქართველი ჯარი ჩემთან გამოგზავნე, სხვასთან მივალ საომრად, თორემ სხვას თავს

*) გორგ-ასლანი სპარსელებმა დაუძახეს. გორგ იმათებურად მგელია, ასლან-ლომი. ვახტანგს ლომ-მგელს ეძახდნენ ისენი ყოჩაღი ომის გულისთვის.

ვანებებ და საქართველოს გაგანადგურებო.
 შეშინებულმა სანდუხტამ ქართველი ჯა-
 რი სპარსეთს გაგზავნა. ამ ჯარით სპარსთ
 მეფემ ბევრი მტერი სრისა, დიდი დავლაც
 იშოვნა და ბოლოს სიკეთის მაგიერ
 გარს თავისი ჯარი შამოართყა და უთხრა:
 თუ რჯულს არ შეიცვლით და ჩვენსას
 არ მიიღებთ სულ ამოგბოცამთო. ქარ-
 თველებმა უარ-ჰყვეს.

შთის ხალხმა-ოსებმა და ჩერქეზებმა,
 რაკი სხვაგან გაიგულეს ქართველი ჯარი,
 მთებს თავი დაანებეს, ჩამოვიდნენ და სა-
 ქართველოს სოფლებს სულ მუსრი გა-
 ავლეს. მცხეთიდან მახტანგის პატარა დაც
 კი ტყვეთ წაიყვანეს და დიდი დავლით
 შინ დაბრუნდნენ.

ძრისტეს მორწმუნე ბერძნებმაც კი
 არ დაინდეს ამ დროს საქართველო: შაა-
 გულიანეს იმერეთის ერისთავი ბუბაძე,
 ააჯანყეს იმერეთი, მოსწყვიტეს საქარ-
 თველოს და მეფობა იქ ბუბაძეს ჩააბარეს.

მანტანგი კი ამ ხანებში იზრდებოდა
 ქართლის მრისთავის ჯუანშერის სახლში.
 ეს ჯუანშერი ასწავლიდა მეფურ სი-
 ბრძნეს, რაზმთა-წყობას და ვაჟკაცობას,
 მხოლოდ ეპისკოპოზი მიხეილი კი უნერ-
 გავდა გულში სახარების მაღალ სწავლას.
 — აი შეიქმნა მანტანგი ხუთმეტი წლისა
 და ხალხმა სთხოვა, ასულიყო მამის ტახტ-
 ზე. მოსულმა, მხარ-ბეჭიანმა და მშვენი-
 ერმა ახალგაზდა მანტანგმა არა ნაკლები
 ჭკვა და ოსტატობა გამოიჩინა ტახტზე
 ასვლის უმაღლეს: მარჯვნივ დაისვა ბერძნთ
 ხელმწიფის მოჩენილი კაცი, მარცხნივ
 სპარსთ ხელმწიფისა და ხალხს უთხრა:
 რაც ბერძნებმა და სპარსებმა უყვეს ქარ-
 თველებს ეს ღვთის ნება იყო და ჩვენივე
 ცოდობის გამო გვეწვია; მაგრამ ოსების
 ჯავრს კი ნუ შავჭამთ და უნდა გადა-
 ეხდებინათო. პირათ ესა სთქვა ოსტა-
 ტმა მანტანგმა, მაგრამ ბოლოს შაიტ-
 ყობთ, რომ გულში სხვა ედო.

მალე მთელი საქართველოს მეომრე-
 ბი მოგროვდა მუხრანის მინდორზედ,
 შვიდი დღე იმარხულეს და მერე კი ახალ-
 გაზდა მეფის წინამძღოლობით ლხინით და
 ყიჟინით გასწიეს ოსებისკენ. ოსების და
 ჩერქეზების ბლომა ჯარი დაჰხვდა
 მეფეს ღარიალის ვიწრო ხეობაში.
 ჯერ გაიმართა თითო ომი: ერთი ფა-
 ლავანი ქართველებისა გადიოდა—ერთი
 ოსებისა გამოდიოდა და იბრძოდნენ სი-
 კდალამდე. ვახტანგიც გავიდა საომრად
 და მოწინაღმდეგეთ გამოჰგვარეს ჩერქეზთ
 ბატონი თარხანი, მაგრამ ვახტანგმა მა-
 ლე მოკლა ის და მაშინ გამოვიდა გა-
 თქმული ოსთ მეფე და ნაქები ვაჟ-კაცი
 ბლათორი. ქართველები უშლიდნენ მე-
 ფეს ბლათორთან შებმას, მაგრამ ვახტან-
 გი თამამად გავიდა—მოსჭრა თავი მინა-
 მდის უძლეველ ბლათორს და გადმო-
 უგდო რა თავი ქართველებს, დაუძახა:
 „პა, ფიცხლათ, მეომარნო, თხის თავი
 და აბა მუსრი ამათაო!“

მაშინვე დაეტაკნენ ოს-ჩერქეზებს, დაი-
რეკეს ისენი — შეესივნენ იმათ ქვეყნებში
და მუსრი გაავლეს იმათ სოფლებს. ღაარ-
ბიეს, დაადეს დიდი ხარჯი, წაართვეს
დიდი დავლა და ამასთან ვახტანგის დაც
წამოიყვანეს. ხალხი დიდის სიხარულით
დაჰხვდა მცხეთაში დაბრუნებულ ვახ-
ტანგს და მაშინვე გამოუთქვეს ეს ლექსი:

ვახტანგ — მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა.
იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა
შექნეს დრეკა.
ჩერქეზეთში გადავიდა, ოსები სულ დაი-
რეკა. —

— ნადავლიდან ვახტანგმა ზღვენი
სპარსეთის მეფესაც გაუგზავნა და თან
პირად დააბარა: თუ ნებას მამცემს, მაგის
ქალს შევირთამ ცოლათაო.

მეფე ორმუზდს ჭკვაში მოუყვიდა ვახ-
ტანგი და იმის ვაჟკაცობა — იმიტომ ქა-

ლი მიათხოვა და თანაც მოსწერა, რომ
„შვიდ მეფეთ შორის უძლიერესი ხარ
შენაო.“

ვახტანგმა, რაკი სპარსეთიდან ზურგი
მოიმაგრა, ბერძნების ჯაერის ამოყრა ჩაი-
დო გულში. მალე შემთხვევაც კარგი
მიეცა. სპარსებსა და ბერძნებს რალაც
შუღლი მოუხდათ და ორმუზდმა სიძეს
სთხოვა სარდლობა. ვახარებულმა ვახ-
ტანგმა ქართველებაც მიუმატა სპარსების
ჯარს და მიადვა ბერძნების ქვეყანას.
მალე აიღო ქალაქი ქალაქზე, ციხე ცი-
ხეზე და ისე შააშინა ბერძნები, რომ
ვახტანგს შერიგება სთხოვეს და მისცეს
ასი ლიტრა ოქრო, მრავალი ფარჩა და
ხარჯი. ვახტანგმა ჯარი უკან დააბრუნა,
მაგრამ სპარსეთის ჯარი უკან დაწევას
არ ფიქრობდა—ისიც დავლას სთხოვდა
ბერძნებს—მაშინ ვახტანგმა გააძრახა ბერ-
ძნები, რომ ისენი დაჰტაკებოდნენ სპარ-
სებს. მართლაც, ვახტანგმა როცა თავის

ჯარით სპარსებს თავი მიანება, ბერძნებზე დაეჯახნენ და დაამარცხეს სპარსები. მაგრამ რომ სიმამრთან ცოტათი მაინც თავი ემართლნა მახტანგს—დაუბრუნდა გამარჯვებულ ბერძნებს და საშინლად დაამარცხა; ამ რიგათ ორთავე მოსისხლე მტრების ჯავრი ამოიყარა ამ ომში მახტანგმა და სიმამრს ჯარის გამუსვრაზე შეუთვალა, რომ თითონ სპარსების ბრალი იყო თავიანთ მომუსვრაო, რადგან მე არას მიგონებდნენო.

ამ დროსვე გააძევა ვახტანგმა ზუბაძეც და საქართველოს სრული მფლობელი გახდა.

—სპარსეთში ამის შემდეგ მალე მოკვდა მახტანგის სიმამრი და მეფედ შირუში დაჯდა. მახტანგი მიჰხვდა, რომ სპარსეთი ჯარის გამუსვრას არ აპატიებდა და შირუხს უომროთ ვერ მოუტრეხებოდა. იპიტომ იწყო ციხეების შენობა.

საქართველოს სამხრეთის ნაწილებში. ამასთან სომხებთანაც პირობა შეეკრა, რომ ერთათ გაჰმაგრებოდნენ სპარსეთს. ამ მზადებაში მახტანგს ცოლიც მოუყვდა და ბერძნის ხემწიფის ქალზე დაინიშნა. შირუხიც წამოვიდა საქართველოსკენ დიდი ჯარით. გზაზე გაანადგურა სომხები, თუმცა ესენი ვაჟ-კაცურათ დაუხვდნენ და სპარსებიც ბევრი ჟლიტეს.

მაგრა დაჰხვდა შირუხს მახტანგი ციხეებში. როცა სპარსები რომელიმე ციხეს წაეტანებოდნენ ასაღებათ, მახტანგი სხვა ციხეებიდან ჯარს ირგვლივ დაჰხვევდა ხოლმე სპარსებს და იფრენდა. ამაზედ დაარქვეს მახტანგს ზორგ-ასლანიც.

ასე დაქანცულმა სპარსებმა ახლა შაიტყეს, რომ ბერძნების ჯარი მოდიოდა საქართველოში მახტანგის საშველად. შაშინდნენ და მახტანგს შარიგება სთხოვეს. ამასთან ზღვენიც გაუგზავნეს მახტანგს. ამ მორიგებაში შირუხმა და მახტანგმა

პირის-პირ ნახეს ერთმანეთი და პირობა დასდეს ერთად ინდოეთში წასულიყვნენ სადავლაოთ.

მაღე ათი ათასი რჩეული ვაჟ-კაციით მახტანგი სპარსეთს ჩავიდა და აქედან შირუშთან ერთად სადავლაოთ ინდოეთში ჩაერივნენ. ღიღი ძალი სიმდიდრე წამოიღეს ორივემ. მახტანგმა სიმდიდრის გარდა საქართველოში მოიტანა აბრეშუმის ჭიაც და მას აქეთ ჩვენშიაც გაჩნდა აბრეშუმის კეთება.

შინა ხარჯის შესუმბუქებით და სხვა ქვეყნებიდან მოტანილ დავლით საქართველო მეტად გამდიდრდა: ოჯახი არ იყო არც თავადის, არც გლეხისა, რომ ვერცხლის ჭურჭელი არა ჰქონიყოთ. ამასთან მახტანგმა ხალხს მისცა რიგიანი და სწორი სამართალი, გააკეთა ყველგან გზები, გასკრა არხები და ააშენა მრავალი მშვენიერი ეკლესიანი და მონასტერნი. მონასტრებში სწავლობდა ხალხი

წიგნს და რჯულისა ქრისტესასა. ამ დროს საბერძნეთიდან მოვიდნენ ცამეტი წმინდა მამანი, რომელნიც გაიფანტნენ საქართველოდ სხვა და სხვა კუთხეში ხალხის გასანათლებლად და ააშენეს მონასტრები: ასე: იოანე ზედაზენს ქადაგებდა, აბო-ძახეთში ნეკრესს, ღვითი—საგარეჯოს, ანტონი-მარტყოფს, ზენონი—იყალთოს, იასე—სამთავისს, იოსები—წალკას, პირი—ბრეთს, სტეფანე—ხირსას და სხვ...

ღაუზარელმა მახტანგმა ამდროსვე ობილისის გაკეთებას მიჰყო ხელი: როცა ერთხელ მტკვრის პირას ნადირობდა, ხო-ხოვს მიმინო მოუტია. მიმინოცა და ხო-ხოვიც ერთ ვაკეში ჩაეშენენ და იქიდან აღარ ამოვიდნენ. მახტანგი სანახავათ მივი-და და ნახა, რომ ორივე ცხელ წყალში ჩახარშულიყვნენ. ეს ცხელი წყლები აბანოებათ, ეს გარშამო ციხესაფით მაგარი კლდეები და შუაში მტკვარი მეტად მოეწონა მახტანგს და მალე გამოესცა

ზრძანება, გეეკათათ ეს ადგილი ირგვლივ და აეშენებინათ ქალაქი. ასე დაიწყო შილისის გაშენება. მალე სულ დაათავებდა, რომ უბედურობა არა სწოდა.

სპარსეთში ახალი მეფე პოზადი დადგა და ამისაგან მოუვიდნენ მახტანგს მოციქულები: ბერძნებთან ომში გვიშველო. მახტანგმა უთხრა მოციქულებს: „თქვენ მეფეს უნდა მე ხმალი გაუღესო, რომ მერე კისერი მევე მამჭრასო; უთხარით ჯერ მე მეომოს და შემდეგ ბერძნებსაო.“

ზარისხებული პოზადი დიდი ჯარით წამოვიდა მახტანგზედ. ამ ჯარს ბოლო ჭერამთან და ველი-ციხესთან ედო, თავი კი იორზე. შეება მახტანგი და სამი დღე ერთმანეთი ყლიტეს. მესამე საღამოს მახტანგმა უთხრა მართველებს: „თუ ხვალ მაინც ვერ დავამარცხეთ ურჯულო — ქვეყანასაც გაგვიოხრებენო და ჩვენც რჯულს შაგვიკვლიანო.“

ამის გამო ქართველები სისხამ დილა დაესხნენ სპარსებს — არიეს ისენი და იფრინეს. მახტანგი შიგ შუაგულში შეფარდა და თავის ხელით უნდოდა ქობადის მოკვლა, მაგრამ ქობადს გაესწრო. მახტანგმა აქ აჩენა ქობადის საკუთარი შვილი. მართალია მტერი მტკვარ გაღმა გააცილეს ქართველებმა, მაგრამ თავხარი დაეცათ, როცა შაიტყეს, რომ მათ საყვარელ მეფეს ისარი ჰქონდა გულში მოხვედრილი.

სამი დღე გაუძლო მეფემ ამ ჭრილობას და ტანჯვას. ბოლოს მოკრიფა ქართველობა და უთხრა, ჰქონოდათ ერთობა და ერთგულობა იმის შვილებისადმი, ეხვეწებოდათ ყთფილიყვნენ მხნეთ და არ ელალატნათ რჯულისთვის. ამის შემდეგ გარდაიცვალა. ხალხმა გოდებით დამარხეს მახტანგი მცხეთას. ზედ დაადეს ქვა და ამოსჭრეს ქვაზე მიმგზავებული მისი სახე.

მ ე ზ ე

ღავით—ალგაზენაგელი.

1089—1125 წელს ქრის. აქეთ.

ღავითი იყო თექვსმეტი წლისა, როცა ავიდა საქართველოს ტახტზედ. ამ დროს ქართლი და ძახეთი სრულად აღზრებული იყო არაბ-თათრებისაგან. თბილისი, სამშვილდე, რუსთავი და სხვა გამოჩენილი ქალაქები და ციხეები საქართველოსი არაბებს ეჭირათ; ხალხი სულ მთებში იყო გახიზნული. ნაყოფიერი და წინა დროს აყვავებული საქართველოს ველნი უდაბნოებათ იყვნენ გადაქცეულნი. მეფეები ცხოვრობდნენ იმერეთში და იქაც უშიშარი ცხოვრება არა ჰქონდათ. უსამართლობას ყველგან ფეხი გაეზოძიწკნა და ბევრს რჯულისთვისაც კი თავი მიენებებინათ, რომ არაბთათვის იამებინათ.

მაგრამ გამეფდა თუ არა ღვეითი, მაშინვე ჩავიდა იმერეთიდან თბილისში და ასე მოუპოვდათ არაბებს: გადაჭრით ყოველწლივ ხარჯი უნდა მიეღოთ და სხვაში ქართველების საქმეში არ უნდა გარეუღიყვნენ. ამის შემდეგ ღვეითმა აცნობა მთებში გახიზნულ ქართველობას, რომ ისენი ჩამოსულიყვნენ თავიანთ მამულდედულებში და მოეკიდნათ ხელი ხვანთესისტვის და სარჩოს შეძენისთვის. მართლაც დაწიოკებულმა ქართველებმა იწყეს აოხრებულ ნაბინაგრებზე ჩამოსვლა და ნანგრევ ქომხმახობის აშენება.

ღვეით თითონ იყო მტკიცე ქრისტიანი და საწყლის მოსარჩლე; იმიტომ თუ შაიტყობდა, რომ რომელიმე მოხელე სჩაგრაავდა საწყალს, შამწეობას არ აძლევდა და ან ღვეითის მოყვარე არ იყო, მაშინვე ითხოვდა მოხელოობიდან. რჯულზე ხელ-ადებულებს კიდენ სრულიად აძევებდა საქართველოდან და

იმის მამულ-დედულს ჰმატებდა ხაზინას. საქართველო მალე მოიფინა სოფლებით და ქალაქებით და თუმცა ღვეითმა რამდენიმე წელს თავის ჯიბიდან მისცა არაბებს ხარჯი—მალე ხალხი, არამც თუ ამ ხარჯს იშორებდა—ხაზინასაც ჰმატებდა.

ამ დროს არაბებს და მთლიან იმათ მორწმუნე ხალხს მეროპიელებმა ომი აუტეხეს, იერუსალიმი რათ გიჭირამთო და უნდოდათ ქრისტეს საფლავი ამ ურწმუნოებისაგან გაენთავისუფლებინათ. იმიტომ საქართველოდან არაბებმა ბევრი თავიანთი ჯარი გაგზავნეს იერუსალიმისკენ—ისარგებლა ამით ღვეითმა და არამთუ ხარჯის ძლევაზედ უარი უთხრა—პირდაპირ დაესხა სამშვილდეში გამაგრებულ არაბებს, დაამარცხა და თითონ დაიჭირა ციხე. მერე გარშამო მყოფი არაბ-მთარები ზოგნი დაიმონა და დაამშვიდა, ზოგნი გააძევა საქართველოდან.

ზაძევებული არაბ-მთარები მალე ახა-

ლი ჯარით შამოვიდნენ საქართველოში ორიალეთის მხრით. ღვეითი იდგა ზორის ახლო ნაჭარმაგვეს. მოულოდნელად დაესხა ურჯულოთ; საშინლად დაამარცხა და გაფანტა ისინი—დავლა დარჩათ ქარველებს დიდ-ძალი.

ჰყვანდა ღვეითს ყოჩალი სარდალი—რომელიც ამასთან იყო ეპისკოპოსი და მიუძღოდა ჯარს წინ ჯვარით—ეს იყო ბიორგი ჰყონდიდელი—ამა ეპისკოპოსმა მოულოდნელის თავს დასხმით თურქებს წაართვა მაგარი ციხე რუსთავი.

იმიტომ მესამეთ უფრო დიდი ჯარით თურქები შამოვიდნენ საქართველოში; აქ აპირებდნენ ზამთრის გაყვანას და გაზაფხულზე ღვეითის ჯავრის ამოყრას.

ძახეთი ჯერ არ ემორჩილებოდა ღვეითს და თავიანთ მეფე ჰყვანდათ ზრემში. ღვეითი ჯარით წავიდა ძახეთის დასამორჩილებლად. რადგან მათი

შეფე, ანუ როგორც თითონ ეძახდნენ
 ძახელები შორეპისკოპოზი, იყო გარყ-
 ვნილი ხალხი გადუდგა იმას და ღა-
 ვითმა დაიჭირა ძახეთი.

ქალაქი თბილისი ოთხასი წელიწადი
 მეტი ეჭირათ თურქებს და იმ დროს ღა-
 ვითსაც სატახტო ქალაქათ ჰქონდა მუთა-
 ისი. ბოლოს გაბედა და მიაღვა თბაღის-
 საც ასაღებად. ძარგა ხნის ომის შემდეგ
 აიღო ესე ქალაქიც და გაჰხადა სატახტო
 ქალაქათ.

რადგანაც მტრისა მაინც შიში იყო,
 იმიტომ განიძრახა დამეგობრება ძრიელ
 ხალხისა შიფჩებისა. ეს შიფჩები იყვნენ
 ძავკასიონის ქედს იქით მცხოვრებნი ბლო-
 მა და ყოჩალი მეომარი ხალხნი. იმიტომ
 შაირთო შიფჩების მეფის ქალი კანონიერ
 ცოლად. და სთხოვა სიმამრს უსაქმოთ
 მსხდარი მისი ჯარი მიეცა იმისთვის —
 ამასთან აუთქვა დავლის განაწილებაც.

სიხარულით მიიღეს შიფჩებმა ეს ამ-

ბავი — მხოლოდ სთხოვეს ღავითს, რომ
 ოსებზე გზა მიეცა ჩამოსავლელად. ბახარე-
 ბული ღავითი თითონ ავიდა ოსეთში,
 გააღებინა ღარილის კარები ქავკასიონის
 მთებში და გადმორეკა მრავალი შიფჩები.
 მოიყვანა თან თავის სიდედრი და ცო-
 ლის ძმები.

ბევრი ყიფჩებთაგანი გაქრიასტიანდა
 კიდევ. ღავითმა მათ დაუყენა ყოჩალი
 სარდლები.

ღარბეულნი და ყოველ მხრით შეწუ-
 ხებულნი არაბ-თურქნი ჩავიდნენ თავია-
 ანთ ქვეყანას და უამბეს თავიანთი უბე-
 დურება სულთანს. მაშინ სულთანმა მო-
 კრიფა მრავალი ჯარი შამოვიდა საქარ-
 თველოში როგორც კალია და ამსო
 ორიალეთი, ღიდგორი, მანგლისი — ისე
 რომ ეს ადგილნი ვერც-კი იტევდნენ. ღაე-
 ცა მათ ღავითი და ისე ამოჟლიტა, რომ
 დიდხანს ყარდა თურქთა მძოვრით ის
 ადგილები. მოიტანა შინ მრავალი სა-
 უნჯე და ალაფი.

ამის შემდეგ სულთანმა შარვაშმა აილო შამახია, შირვანი და ქასპიის ზღვის მახლობელნი მხარენი—თან ღვეითს შემოუთვალა: ეჲ, შენ ტყვეთ მეფევე! ან დაიდე ჩემი ხარჯი და შეიცვალე რჯული და ან არა მოვალ და აგატიალებო. ღვეითმა მოკრიფა ჯარი და გაექანა შამახიისკენ. შაშინდა სულთანი შაიმწყედა ჯარით ქალაქში და თან პატიება სთხოვა თავხედობისთვის ღვეითს. ღვეითმა მოასწრო ქალაქს გარეთ საკმაო მის ჯარს და გაუჟლიტა. სულთანმა დიდი ზღვენი მოუგზავნა ღვეითს და შემდეგში თითონაც გაიპარა. ღვეითმა აილო გარშამო ქალაქები, ღვიპყრა ღარუბანდი და იქიდან წამოიღო რკინის კარები, რომელიც ეხლაც არის ბელათის მონასტერში. ჟოველ აღებულ ქალაქებში ღვეითი თავის გამგებლებს აყენებდა. აქედან მოუარა სამხრეთის სამზღვრებს არაართის მთამდე და გადმოვიდა ახალციხისკენ ქართლში.

საცა მოასწრო თურქთ ან თათრებს,
დაამარცხა იგინი.

აქ მოვიდნენ სომხები და სთხოვეს
თავის ხელქვეითი გეგხაძნა მათი ქალა-
ქი ანი, რომელიც სულ მუდამ მტრების
რბევაში იყო. ღვითი გადავიდა ანში
დიდი ჯარით, დაიჭირა იგი ქალაქი, თავისი
კაცი დააყენა უფროსათ, მოავარგა ყოვე-
ლისფერი და დაბრუნდა შინ.

ეს ძრიელი მეფე, იყო ამასთან
ღვთის მოყვარე და გონიერი ქვეყნის
მომწყობი. თითონ სჯერდებოდა სულ
უბრალოს და ნაშოვნის დავლიდან აშე-
ნებდა მონასტრებს, და არხებს. ძეთილ და
საქვეყნო საქმისათვის იმან დაღლა არ
იკოდა. ნუ ვიტყვით წვრილი ეკლესიების
აშენებას და აგრეთვე მრავალ ეკლესიების
განათლებას; ღვითმა ააშენა ბელათის
მშვენიერი მონასტერი, ნათლი-მცემლის
უდაბნო შარაიაზე, მარტყოფის უდაბნო,
ააშენა ქალაქი ზორი, ძავთის-ხევის მო-

ნასტერი, პლევის ეკლესია ღუშეთის ახლო და ლომისისა, სომხეთის ქალაქ ანში საკრებო ეკლესია და მრავალნი სხვანი. შაკრიბა ყოველ მხრიდგან მცოდნე და ბრძენი კაცნი, რომელნიც დააყენა მოხვლეთ. იმის დროს იყო მეცნიერი და ფილოსოფოსი კათალიკოსი არსენი იყალთოელი, რომელსაც ქახეთში სოფელ იყალთოში ჰქონდა ფილოსოფიის შკოლა და ასწავლიდა მრავალს.

უყვარდა სასულიერო საქმეები და შეჰყრიდა ხოლმე სამღვდელოებას, რომ იმათ ერთად ეზრუნვათ საქვეყნო საქმისთვის.

ჯვაროსან ომშიაც მიიღო ღვათმა მონაწილეობა—იქაც მარჯვით მოიქცა. იერუსალიმში იზოგა საეკლესიო ადგილი და გააშენა კიდეც ეკლესია.

იმეფა ღვათმა ვნ წელი, დამარხეს ბელათის მშვენიერ მონასტერში, სადაც ეხლაც სჩანს იმის საფლავის ქვა.

ხალხმა ღვეითს მისცა სახელი აღმა-
შენებლისა, რადგან ააშენა საქართველო
გაოხრებული მტრებისგან. ქრისტეს ეკ-
ლესიამ კიდევ იგი იცნო წმინდათ და
დანიშნა დღესასწაული იმისი ოცდა ექვს
იანვარს.



თამარ მეფე.

1184—1212 ქრის. აქეთ.

თამარი იყო შვილი-შვილი ღვით აღმაშენებლისა და ქალი ზიორგი მეფისა. ტახტზედ ავიდა კაი დროს; პაპისაგან დარჩომილ სახემწიფოს დი ხაზინას იმის-მა მაძა გიორგიმაც კარგა შაჰმატა, იმი-ტომ უფრო, გონიერმა თამარმა ყველა საქართველოს მეფეებზედ მეტი დიდებუ-ლი სახელი დაარჩინა ქვეყანაზედ.

თამარმა ქ. თბილისში იგვირგვინა დი-დის დიდებით. რაჭის ერისთავმა ქახაბერ-მა შამოარტყა იმას ხმალი. თითონ ხმა-ლი მოართვეს დიდებულებმა: მარდანიძემ, ბერიძემ, ამანელიძემ და სხვ. ბვირგვინი დაადგა ეპისკოპოზმა ანტონ ჭყონდი-დელმა. ამის შემდეგ გაიმართა დიდი

ნადიმი და თამარმა საწყლებზე გასცა დი-
დი წყალობა.

თამარმა მოხელეების ამორჩევაში დი-
დი გონივრობა გამოიჩინა. სპასალობა,
ანუ ჯარების უფროსობა უბოძა სარქის
მხარგძელს, ახოვან და ომებში გაწვრთ-
ნილ კაცს და, როცა ერთგული ყოფილიყო,
უბოძა სომხეთში ლორის სათავადო.
ამას ჩაჰბარდა ჯარის უფროსობა და ერის-
თავეებზე ბრძანებლობა; ეს იბარებდა ომი-
ანობის დროს ყველა ერისთავეებისაგან
ჯარებს. ხაზინადრობა მისცა ძახაბერ შა-
რდანიძეს. შარდან ღადიას ჩააბარა ციხე-
ების და ქალაქის ჯარები, ჯაბახანები და
იარალი. თორელ ბამრეკელს ჩააბარა ამი-
ლახრობა და სხვ. მრისთავებათაც და-
ნიშნა ძახეთში ბაკურ ყმა მანვანიძე,
შართლში რატი სურამელი, ახალციხეს
— ბოცო ჯაყელი, აფხაზეთში — ღადი-
ანი, რაჭაში — შარდანიძე, სამეგრელო-
ში — ბედიანი და სხვ. მრისთავეები სამარ-

ფლობდნენ, ხარჯს აგროვებდნენ. და
ომიანობას ჯარსა ჰკრებდნენ. შევლა
შემოთ მოხსენებულნი პირნი სამეფო
რჩევის დროს სასახლეში ისხდნენ ხოლმე
ბალიშებზედ, როდესაც სხვანი ფეხზე
ახლდნენ მეფეს.

მრთხელ ამ გვარმა სახემწიფო რჩევამ
გადასწყვიტა თამარისათვის ქმარი შეე-
რთოთ, რადგან ეშინოდათ უქრმოობას
და უშვილობას დედოფლისას საქართვე-
ლო უმეფოდ არ დაერჩინა და ხალხში
არეულობა არ დაებადნა. საქრმოები ბევ-
რი გამოჩნდნენ. ბერძნის მეფის შვილი,
ორი მშვენიერი ოსის მეფის შვილნი
ხელ ცარიელები უკან გაბრუნდნენ. თა-
მარზე დარდით ერთი ოსთაგანი მოკვდა
კიდევ. ხალხმა ერთ ხმით ყველას რუს
ხემწიფე ანდრიას შვილი ბიორგი ირჩია.
თამარმა ხალხის ხათრი არ გასტეხა და
ანდრია შეირთო: გაიმართა დიდებული
ქორწინი მშვენიერი თამარისა რუსს ან-

დრიასთან. მღვდლები, ეკლესიეები და ლარიბები გაიმსნენ თამარის წყალობითა.

— მართალია, საქართველოს თავისი სამზღვრები ჰქონდა, მაგრამ, მაინც მეზობლად მეტად დაუძინებელი ხალხი ეხვივა. მსენი მტრობას და ტაცილობას არ იშლიდნენ. ამასთან თათრებს და ოსმალებს გულიდან ვერ ამოედოთ საქართველოს დაპყრობა და ქართველების გაურჯულოება. ამიტომ ჯარით რამდენჯერმე მოვიდნენ, მაგრამ თამარის სარდლებმა ძვირად დაუსვეს თავხედობა. თათრები მიჰხედნენ, რომ ღონით ვერას გახდებოდნენ, იმიტომ თამარის დამეგობრება მოინდომეს. თამარი დიდათ არ აფასებდა თათრების მეგობრობას, იმიტომ აუტეხა იმათ ომი. ზაიმძღვარეს წინ ჯვარით ეპისკოპოზნი და გაჰყვნენ ყოჩად სარდლებს.

მართლაც და დიდათ გაიმარჯვა წასულმა ჯარმა: აიღეს შარსი, გააოხრეს

თველებს, მაგრამ პრეკლემ უფრო ძაან დაამარცხა და გამოუდგა მთებისკენ. ამ დროს მოუვიდა ამბავი, რომ თათრის ჯარი ხელმეორეთ დაეცა თბილისს, მეტეხის სიხე აიღო და შიგ გამოაგრდა. მხნე მეფე საჩქაროთ მოვიდა ქალაქთან, ჩამოატანინა იორზე მღებ ბოჭორმის სახიდან ზარბაზნები და გამოაფთხო მეტეხიდან თათრება.

ბოლოს თეიმურაზიც კაის ამბით დაბრუნდა შაჰიდან და მამა-შვილთ კეთილად იწყეს ქართლ-ძახეთის მართვა. აი მალე პრეევანზე გალაშქრებაც-კი მოინდომეს მამა-შვილთ. ქართველი ჯარით მალე აიღეს პრეევანი და მოხარჯეთ გაიხადეს. მერე მიუხდნენ ზანჯელებს, აიღეს ზანჯა და იმდენი ალაფით დაბრუნდნენ უკან, რომ ცხენი აბაზათ იყიდებოდა, ორ აბაზათ ძროხა და კამბეჩი.

ასე ქართლ-ძახეთი ისევ ძველ დონეზედ დააყენეს. იმერეთი-კი მსხალე-

ზის საპარპაშოთ გადაიქცა. ქუთაისის სობორო მსმალეების ცხენების თავლად იყო გადაკეთებული. იქაურ მეფე ალექსანდრეს თავადობა არას უგონებდა და ერთმანეთს სწეწდნენ-ჰგლეჯდნენ.

შური არც ქართლ-ქახეთს ასცილდა. იმ დროის ქათალიკოსად იყო ბრძენი და გამოჩენილი იასე მეფის შვილი ანტონ პირველი. ამას შესწამეს, რომ რჯულზედ მტკიცეთ არა ხარო და საქართველოდან გააძევეს. ანტონი რუსეთში წავიდა, იქ თავი იმართლა და არქიელობა მიიღო. ამ დროსვე მტრებმა მამა-შვილს შუა დაბადეს შური, რის გამოც მეფე თეიმურაზიც რუსეთს წავიდა და მრეკლეს დარჩა ქართლ-ქახეთის გამგეობა. მოხუცი თეიმურაზი მეფე რუსეთში მალე გარდაიცვალა; დარჩა მეფეთ ქართლ-ქახეთისა მრეკლე.

„მე უშენოდ არ ვვარგივარ და შენ უჩემოდლო,“ სწერდა - გამეფების უმაღ

მრეკლე რუსეთში მყოფ ანტონ შათალიკოზს და სთხოვდა საქართველოში დაბრუნებულიყო, ანტონი მალე დაბრუნდა საქართველოში მიიღო ისევ ქათალიკოსობა და გახდა მარჯვენა ხელი მრეკლესი. ამ ორ გამოჩენილ კაცს დიდათ უყვარდა თავიანთი ხალხი. მეფე ლომივით ებრძოდა მტრებს და ქათალიკოზი ანტონი კიდევ ბრძნულად ზრუნავდა ქართველების განათლებაზედ. მეფე მრეკლეს მხნეობამ და თავ-განწირულობამ ქვეყნისთვის, იმ დროის დედაკაცობაც-კი გაამხნევა და ბევრს მათგანს მტერთან ბრძოლაშიაც-კი აჩენინა თავი. შათალიკოსი ანტონი კიდევ ზრუნავდა განათლებისთვის. თბილისში და თელავში გახსნა სასულიერო სემენარიეები, სადაც სწავლობდნენ მრავალი ქართველი ახალგაზდები. რომ სწავლა კაი გზას დასდგომოდა, თითონ ანტონმა გადმოთარგმნა და დასწერა ორმოცდა სამი სახელ-

მძღვანელო წიგნი ამ უკოლებისთვის. პრეკლეს, როგორც ბრძენ და გმირ მეფეს შორს გაუვარდა ხმა. ხანები ზანჯისა, პრევენისა და ბაქოსი დიდის ხალისით იხდიდნენ შაწერილს ხარჯს, ოღონდ მხნე პრეკლე იმათი თვალ-ყურის მჭერელი ყოფილიყო,

მსმალეების დაუნდობლობამ და იმერლების ერთმანეთში მტრობამ, იქამდის შეაწუხა იმერეთის მეფე სოლომონი, რომ შამწეობა ათხოვნიდა რუსეთისაგან. რუსის დედოფალმა იმპერატრიცა ქატირინემ ზენერალი ტოტლებენი დიდის ჯარით გამოუგზავნათ იმერლებს საშველად. პრეკლეს თავისი ჯარით რუსებს შაუერთდა და წავიდნენ მსმალეების ჯარის ამოსაყრელად. ახალციხის ახლო გაშლილ ასპინძის მინდორზედ შაჰხედნენ ესენი მსმალოს დიდ ჯარს და კბილებ დაღესილნი ეტაკნენ დიდი-ხნის მოსისხლე მტერს.

მრეკლემ თავის ხელით მოკლა მს-
მალთ გათქმული კოხტა-ბელადი, რომე-
ლიც შეუპოვრათ მოარღვევდა ქართვე-
ლებს და ამხნევებდა თავის ჯარს. მალე
საშინლად დაამარცხა მრავალი მსმალოს
ჯარი. წამოიღო დიდი დავლა და იშოვა
ტყვეები.

სხვაფრავ მეფე მეტად გონივრულად
მოქმედებდა. მბილისში თოფხანა გამართა
და თოფხანის უფროსობა პაატა ანდრო-
ნიკაშვილს ჩააბარა, რომელიც ამ საქმის
შესასწავლათ რუსეთში გაგზავნეს. სამუ-
დამოთ მორიგე ჯარი განაწესა. იმერე-
თის მეფემ ლეკის ჯარი მიიწვია, დაარ-
ბევიანა რამდენიმე ურჩი ერისთავი და
დიდი დავლით გამოისტუმრა შინათკენ.
ლეკის ჯარს დაჰხვდა მრეკლეს მორიგე
ჯარი და ნადავლი მთლად წაართვა.

მრეკლეს ბოლოს სიბერე შეეპარა.
მჯახშიაც საქმე აერიგ-დაერია. შვილე-
ბი სხვა და სხვა ცოლებიდან ჰყვანდა.

მსენი ერთმანეთში ჩხუბობდნენ, მამას არას უგონებდნენ და საშინლად აჯავრებდნენ. ამ ხანებში სათათრეთში მოკვდა საქართველოს მწყალობელი ყეინიცი და დადგა ალა-მაჰმად-ხანი.

ალა-მაჰმად-ხანმა დიდის ჯარით გამოგზავნა თავისი ძმისწული შრევენის ასაღებად. იმიტომ თავისი ჯარით წაეშველა თავის მოხარჯე შრევენის ხანს, ძაან დაამარცხეს შაჰის ძმის-წული და გაჟლიტეს თათრის ჯარი.

საშინლად გაბრაზებული ალა-მაჰმად-ხანი ურიცხვი ჯარით წამოვიდა საქართველოზედ. მოადგა თბილისს და ჩამოაბნელა ჯარებით მთები. შრეკლეს, მალე ერთი მუჰა, მაგრამ ყოჩაღო ქართველებით მოუხდა თათრებთან შებმა.

სასიკვდილოთ გაიფიცნენ ქართველები, თათრების უშველებელი ურდო არიეს და მალე გამარჯვებაც დაჰრჩებოდათ, რომ უკანიდან ცეცხლ მოდებულნი თბი-

ლისი არ დაენახათ. საწყლებს ეგონათ მტერმა უკანიდან მოგვიარაო, ანებეს ომს თავი და გამწარებულნი შეცვივდნენ ნარიყალას ციხეში.

მახარებული მაჰმად-ხანი უომრად შემოვიდა თბილისში, დაანგრია სიონის სობორო, დახოცა მღვდლები, ქლიტა და ცარცვა ხალხი, თან ალყა შემოარტყა ნარიყალას ციხეს და უნდოდა ცოცხალი დაეჭირა გათქმული გმირი ერეკლე. ~~მერ-~~ თმეტი დღე წვა ურჯულომ ქალაქი. ამ ხანში ციხეშიაც გამოჩნდა მოღალატე და მათრებს გაუღოთ ციხის კარი. მაგცევით გადარჩა დატყვევებას მრეკლე. ამბობენ, პრაგვის ხეობაში უბრალო ტყავში გახვეული მოხუცი მეფე ყველასგან დავიწყებული, მარტო სტიროდა თავის და საქართველოს ბედსაო. ბარში-კი ყეინი სწავადა და სცარცვადა სოფლებს, თუ ქალაქებს.

ამ ჭირს-კი ველარ გაუძლო ისეც ხან-

ში შესულმა და შეიღებისაგან გატან-
 ჯულმა პრეკლემ და რუსეთსა სთხოვა
 მფარველობა, რომ დაეხსნა საქართველო
 უსჯულოთაგან. რუსეთიდან მოსულმა
 ჯარმა მალე გარეკა თათრები და ლეკები,
 დაამშვიდა საქართველო და მას აქეთ რუ-
 სეთის მთავრობის ქვეშე შევიდა კეთილ-
 დღეობაში და წარმატებაში. —

მთხმოცი წლის გათქმულმა მეფემ
 ორი წელიწადი კიდენ იცხოვრა თელავ-
ში და აქ გარდაიცვალა ოცდა თორმეტი
 წლის თავისი ყოჩაღური მეფობის შემ-
 დეგ. ეს იყო თერთმეტ იანვარს 1798 წ.
თელავიდან მცხეთას აიტანეს ამ მეფის
 გვამი და იქ დამარხეს.

947.922

8 945

ფანი 15 კ.